საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კაკაბაძე ამირ დავითის ძე





კაკაბაძე ამირ დავითის ძე (26. IX. 1941, თბილისი, – 23. III. 2015, იქვე), ფერმწერი, გრაფიკოსი, სცენოგრაფი. მხატვარ დ. კაკაბაძის შვილი. საქართვ. დამს. მხატვარი (1990). დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიის ფერწერისა და თეატრ.-დეკორ. ფაკ-ტები (1967). სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობდა 1967- იდან. ნამუშევრები: ფერწერა – "ქართული ნატურმორტი" (1972), "ნატურმორტი კაქტუსით" (1977), "კუმურდო" (1985), "თოვლიანი მთა" (1987), "ავტოპორტრეტი" (1993), "წმინდა პეტრეს ტაძარი" (1999), სერია "პარიზი" (1994–95); პოპ-არტი: "ნიჟარები სივრცეში" (1975), "მხატვრის ხელი" (1980), "არქეოლოგია" (1985), "გარიჟრაჟი" (1987); გრაფიკა – ლითოგრაფიების სერია "მთიანი საქართველო" (1976), სერიები "ალეგორიული ნატურმორტები" (1984–85), "სკულპტურული ფანტაზიები" (1986), "გზა" (1991); თეატრ.-დეკორ. ხელოვნება – ო. მამფორიას "მეტეხის ჩრდილში"

დ. კაკაბაძე. 1926. პარიზი. უცნობი ფოტოგრაფი

ა. დ. კ ა კ ა ბ ა ძ ე. ცისფერი სერია. "გული". 1981. კერძო საკუთრება.

(1968, მესხიშვილის თეატრი), კ. გამსახურდიას "მთვარის მოტაცება" (1968), ვაჟა-ფშაველას "ორი პოემა" (1970, ორივე – მარჯანიშვილის თეატრი), ო. იოსელიანის "სანამ ურემი გადაბრუნდება" (1970, რუსთაველის თეატრი) და სხვ. დამდგმელ მხატვრად მუშაობდა ფილმებზე: "ნუცა" (1970), "XIX საუკუნის ქართული ქრონიკა" (1978), "გზა შინისაკენ" (1982), "წინაპართა მიწა" (1982). პერსონალური გამოფენები: თბილისი, გალერეა "კოპალა" (2007), ლონდონი (2008), ბად-რაპენაუ (2008, გერმანია). მისი ნამუშევრები დაცულია შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმში, დ. შევარდნაძის სახ. ეროვნულ გალერეაში, ციმერლის მუზეუმში (აშშ), საფრანგეთის, ბელგიის, საბერძნეთის, ინგლისის, აშშ-ის, გერმანიის, რუსეთის, საქართველოს კერძო კოლექციებში.